

საქართველოს ეროვნული ბანკი აცხადებს ვაკანსიას **საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის ინფრასტრუქტურის მართვის განყოფილების ქსელის ადმინისტრატორის** თანამდებობაზე

**ინფრასტრუქტურის მართვის განყოფილების ფუნქცია:** ბანკის სერვერული და ქსელური ინფრასტრუქტურის მხარდაჭერა, მონიტორინგი და განვითარება.

### **ფუნქცია-მოვალეობები:**

- ქსელურ ინფრასტრუქტურაში კომპლექსური ცვლილებების განხორციელება და მისი განვითარება/მხარდაჭერა;
- ქსელურ ინფრასტრუქტურასა და სისტემებში პრობლემების ანალიზი და მათი მოგვარება;
- ქსელური უსაფრთხოების ნორმების განსაზღვრა და უსაფრთხოების დონის უზრუნველყოფა (Firewalls, VPN, ACL, VACL, port security და.ა.შ.);
- ქსელის და მისი კომპონენტების მონიტორინგი (SNMP, NetFlow, Syslog, etc);
- ქსელის და ინფრასტრუქტურის განვითარების სტრატეგიის, დიზაინის და დეტალური გეგმის შემუშავება;
- ორგანიზაციის WIFI ინფრასტრუქტურის მხარდაჭერა/განვითარება;
- ქსელური აპარატურის კონფიგურაცია და მართვა;
- ქსელებთან დაკავშირებული ახალი ტექნოლოგიების კვლევა, ტესტირება და დანერგვა;
- ქსელური აპარატურის ინვენტარის რეგულარული აღრიცხვა და კონტროლი;
- სამუშაოს და დავალებების ვადებში შესრულების კონტროლი და პრობლემებზე რეაგირება და შესაბამისი ანგარიშგების წარმოება;
- მარშრუტიზატორების, კომუტატორების კონფიგურაცია და ტექნიკური მომსახურება;

### **ძირითადი მოთხოვნები:**

- უმაღლესი განათლება, სასურველია კომპიუტერულ მეცნიერებების ან ზუსტი მეცნიერებების განხრით;
- მინიმუმ 3 წლიანი სამუშაო გამოცდილება ინფორმაციული ტექნოლოგიების განხრით (აქედან 2 წელი ქსელური მოწყობილობების განხრით);
- სავალდებულოა CCNP დონეზე როუტინგის და სვიჩინგის ცოდნა.
- Routing და Switching პროტოკოლების მაღალ დონეზე ცოდნა;
- VPN ტექნოლოგიების მაღალ დონეზე ცოდნა, GRE, IPSec, და ა.შ. ;
- ძირითადი ქსელური ტექნოლოგიების EIGRP, OSPF, Policy Based Routing, HSRP, VTP, STP, VRF, BGP მაღალ დონეზე ცოდნა და სამუშაო გამოცდილება;
- Cisco Unified Call Manager - თან მუშაობის გამოცდილება (სასურველია);
- Cisco Unified Contact Center Express-თან მუშაობის გამოცდილება (სასურველია);
- Cisco CMX, ISE სისტემებთან მუშაობის გამოცდილება;
- Cisco FirePower სისტემებთან მუშაობის გამოცდილება

- ბიზნეს უწყვეტობის და მაღალ მდგრადი სისტემების ცოდნა;
- ინგლისური ენის სრულყოფილად ცოდნა;

### **კომპეტენციები:**

- პროექტების მართვის და გუნდის მუშაობის კოორდინირების უნარი;
- ორგანიზაციული უნარ-ჩვევები, დაგეგმვისა და სამუშაო დროის ოპტიმალურად განაწილების უნარი;
- კვლევის უნარი;
- ძლიერი ანალიტიკური აზროვნება;
- კომუნიკაბელურობა.

**თანამდებობრივი სარგო:** განისაზღვრება კანდიდატის გამოცდილებისა და განათლების შესაბამისად.

**კონკურსის ფორმა:** კონკურსი ჩატარდება ინტერვიუს სახით.

დაინტერესების შემთხვევაში გთხოვთ, **2019 წლის 31 მაისამდე** CV გამოაგზავნოთ ელექტრონული ფოსტის შემდეგ მისამართზე: [vacancies@nbg.gov.ge](mailto:vacancies@nbg.gov.ge) და სათაურში მიუთითოთ ვაკანსიის დასახელება: **ქსელის ადმინისტრატორი**